



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

უორდროპები მარჯორი სკოტ და ჭონ ოლივერ



უორდროპები მარჯორი სკოტ და ჭონ ოლივერ (1869-1909 • 1864-1948), ინგლისური არისტოკრატიული გვარის წარმომადგენლები.

მ. და ო. უორდროპები

და-ძმა - მარჯორი და ოლივერ უორდროპები - ქართულ-ბრიტანული ურთიერთობის ერთგვარ სიმბოლოდ იქცნენ.

დიდია მათი დამსახურება ევროპაში საქართველოს ისტორიის, კულტურისა და მწერლობის პოპულარიზაციის საქმეში.

მარჯორი - მთარგმნელი. მრავალმხრივ განსწავლული, ენების ათვისების ნიჭით დაჯილდოებული მარჯორი საქართველოთი თავისი ძმის, ოლივერის, გავლენით დაინტერესდა. ქართული ენა დამოუკიდებლად შეისწავლა 1880-იან წლებში მ. ბროსეს „ქართული ენის თვითმასწავლებლისა“ და სახარების ქართული თარგმანის მეშვეობით.

მარჯორი საქართველოში პირველად 1894 წელს ჩამოვიდა დედასთან ერთად. თბილისის შემდეგ იმერეთი და გურია მოინახულა. მეორედ 1896 წელს ეწვია ჩვენს ქვეყანას. აქ ყოფნისას უშუალოდ გაეცნო ქართველი ხალხის ცხოვრებას, დაუახლოვდა გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებს, ახლო მეგობრობა აკავშირებდა ილია ჭავჭავაძესა და ოლღა გურამიშვილთან. საქართველოში მოგზაურობის შემდეგ დაწერა „საქართველოში მოგზაურობის ჩანაწერები“, რომელშიც გადმოსცა თავისი შთაბეჭდილებები თბილისზე, აღწერა ქალაქის ღირსშესანიშნაობები.

მ. უორდოპმა ინგლისურად თარგმნა ქართული მწერლობის ძეგლები: „ქართული ხალხური ზღაპრები“ (ლონდონი, 1894), ი. ჭავჭავაძის პოემა „განდეგილი“ (ლონდონი, 1895), „წმიდა ნინოს ცხოვრება“ (ჭ. ო. უორდოპთან ერთად, ოქსფორდი, 1900) და სხვ. ქართული მწერლობითა და ისტორიით უცხოელ მწერალთა და მეცნიერთა დაინტერესებაში უდიდესი როლი ითამაშა შოთა რუსთაველის პოემის „ვეფხისტყაოსნის“ მარჯორისეულმა სრულმა პრობაულმა თარგმანმა (გამოაქვეყნა ოლივერ უორდოპმა მარჯორის გარდაცვალების შემდეგ ლონდონში 1912 წელს@). ამ თარგმანით ინგლისელი მკითხველი პირველად გაეცნო რუსთაველის პოემას ინგლისურ ენაზე.

დის გარდაცვალების შემდეგ ჭონ ოლივერ უორდოპმა ოქსფორდში, ბოდლის ბიბლიოთეკაში, დაარსა მარჯორი უორდოპის სახელობის ქართული ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნების ფონდი, ხოლო დედამ ოქსფორდის უნივერსიტეტს შესწირა თანხა, რათა იქ ქართული კათედრა დაარსებულიყო.

მარჯორი უორდოპი გარდაიცვალა რუმინეთში, ქ. ბუქარესტში. დაკრძალულია ინგლისში, ლონდონის ახლოს, სევენოუქის საგვარეულო საძვალეში.

ჭონ ოლივერი – სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი, მთარგმნელი. ქართული კულტურის მოამაგე. განათლება ოქსფორდში მიიღო. ენეოდა დიპლომატიურ მოღვაწეობას. იყო ინგლისის წარმომადგენელი ბევრ ქვეყანაში. 1892 წელს სერ ოლივერ უორდოპი დაინიშნა ბრიტანეთის ელჩის პირველ მდივნად პეტერბურგში; 1919–1920 წლებში იყო ბრიტანეთის პირველი მთავარი კომისარი საქართველოში.

საქართველოში პირველად 1887 წელს ჩამოვიდა, მოიარა მისი თითქმის ყველა კუთხე. მასპინძლობას უწევდნენ ილია ჭავჭავაძე და ივანე მაჩაბელი. ოლივერი დაინტერესდა ქართული მწერლობით, შეისწავლა ქართული ენა. ინგლისში დაბრუნებულმა დაწერა წიგნი „საქართველოს სამეფო“ (ლონდონი, 1888, 1977). ოლივერმა გადათარგმნა სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუისა“ (ლონდონი, 1894), თავის დასთან, მარჯორისთან ერთად „წმიდა ნინოს ცხოვრება“ (ოქსფორდი, 1900), „ვისრამიანი“ (ლონდონი, 1914); გამოსცა „ინგლისურ-სვანური ლექსიკონი“ (ოქსფორდი, 1911).

ო. უორდოპი ზრუნავდა, რათა შეევსო ქართული წიგნებით მარჯორი უორდოპის სახელობის ქართული და ნაბეჭდი წიგნების ფონდი (ოქსფორდი, ბოდლის ბიბლიოთეკა), რომელიც თავად დაარსა დის გარდაცვალების შემდეგ. ოლივერი ქართულ წიგნებსა და ხელნაწერებს, უცხოენოვან ლიტერატურას საქართველოს შესახებ ეძებდა სხვადასხვა ქვეყანაში, რა თქმა უნდა, საქართველოშიც. მის მიერ შესყიდული ხელნაწერებიდან ზოგიერთი ქართველებისთვისაც არ იყო ცნობილი. ასეთი იყო დავით ბატონიშვილის მიერ 1800 წელს შედგენილი სამართალი, რომელიც ერთვოდა ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის ხელნაწერს. 1919 წელს ოლივერმა ბოდბის ქალთა მონასტერი მოინახულა.

წინამძღვარმა ნინო ვაჩინაძემ უორდოპების ოჯახს უსახსოვრა წმინდა ნინოს ხატი, რომელიც დღესაც ამ ოჯახის რელიქვიაა.
